საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 950

თბილისი „02“ 12 2013 წ

„მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსების პროგრამის” დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ'' და ,,მ'' ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 25 ნოემბრის N558413 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსების პროგრამა” (პროგრამული კოდი 32 04 04 08) დანართის შესაბამისად;
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თამარ სანიკიძე

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსების პროგრამა

(პროგრამული კოდი 32 04 04 08)

მუხლი 1. პროგრამის აქტუალობა

უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური პოტენციალის გაძლიერება, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევების ინტეგრაციის ხელშეწყობა. „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსების პროგრამა“ (შემდგომში - პროგრამა) ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელი ღირებულებების ჩამოყალიბებას, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პიროვნების რეალიზებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

1. პროგრამის მიზანია მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების (შემდგომში - მაგისტრანტი) განათლების ხარისხის ამაღლება, მათი სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის ხელშეწყობა და ფინანსური მხარდაჭერა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად, მაგისტრანტები პროგრამის ფარგლებში სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსებას მოიპოვებენ კონკურსის წესით.

მუხლი 3. პროგრამის ბიუჯეტი და განხორციელების გზები

1. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 240 000 (ორასორმოცი ათასი) ლარს;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) აცხადებს კონკურსს სასწავლო-კვლევითი პროექტების დაფინანსების მოსაპოვებლად;

3. სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში გამარჯვებული სასწავლო-კვლევითი პროექტების გამოვლენისა და დაფინანსების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ქმნის კომისიას;

4. სამინისტროსა და იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის, რომელიც ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით გამოხატავს მხარდაჭერას კონკურსში გამარჯვებული სასწავლო-კვლევითი პროექტის მიმართ, გაფორმდება ხელშეკრულება;

5. სასწავლო-კვლევითი პროექტის დასრულების შემდეგ სასწავლო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება გადაეცემა შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას.

მუხლი 4. სასწავლო-კვლევითი პროექტის წარდგენა და პირობები

1. პროგრამის ფარგლებში დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულმა, აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე მაგისტრანტთა ჯგუფმა, რომელსაც წარმოადგენს სამეცნიერო ხელმძღვანელი;

2. ჯგუფი უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 5 მაგისტრანტისგან;

3. სამეცნიერო ხელმძღვანელი, რომელიც წარმართავს სასწავლო-კვლევითი პროექტის მიმდინარეობას, შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უკავია აკადემიური თანამდებობა;

4. სასწავლო-კვლევითი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება შეადგენდეს არა უმეტეს 12 თვეს;

5. სასწავლო-კვლევითი პროექტი უნდა დაიწყოს არა უგვიანეს 2013 წლის 23 დეკემბრისა;

6. სასწავლო-კვლევითი პროექტი უნდა დასრულდეს 2014 წლის 23 დეკემბრამდე;

7. კონკურსის შედეგად შეიძლება დაფინანსდეს შემდეგ დარგებში/სპეციალობებში წარდგენილი სასწავლო-კვლევითი პროექტები:

ა) აუდიოვიზუალური ხელოვნება, თეატრალური ხელოვნება და მედიახელოვნება;

ბ) არქიტექტურა;

გ) არქეოლოგია;

დ) ეკოლოგია/გარემოსმცოდნეობა;

ე) გეოლოგია.

8. სასწავლო-კვლევითი პროექტები პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ორიენტირებული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნულ დარგებში/სპეციალობებში პრობლემატურ საკითხთა შესწავლაზე;

ბ) მკაფიოდ უნდა იყოს გაწერილი კვლევის პროცესში განსახორციელებელი ღონისძიებები, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის მითითებით;

გ) სასურველია სასწავლო-კვლევითი პროექტის განხორციელება რეგიონებში;

დ) სასურველია ითვალისწინებდეს შესაბამისი რეგიონის ორი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მე-10-მე-12 კლასის მოსწავლეებისათვის სასწავლო-კვლევითი პროექტის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობას და კვლევის შედეგად გამოვლენილ პრობლემათა გადაჭრაში მათი ჩართვის გზებს.

9. კონკურსში მონაწილეობისათვის სამინისტროში 2013 წლის 5 დეკემბრის ჩათვლით წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) სამეცნიერო ხელმძღვანელის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;

ბ) საპროექტო წინადადება, რომელიც უნდა შეიცავდეს სასწავლო-კველვითი პროექტის დასაბუთებას, დაგეგმილი კვლევის აღწერას, დაგეგმილი კვლევის გეგმა-გრაფიკს,

დეტალურ ხარჯთაღრიცხვას და მოსალოდნელი შედეგების აღწერას (დანართის შესაბამისად);

გ) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის პროფესიული ავტობიოგრაფია (CV);

დ) მაგისტრანტების პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

ე) მხარდაჭერის წერილი იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, რომელშიც სწავლობენ მაგისტრანტები;

მუხლი 5. სასწავლო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი

1. სასწავლო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს, რომელიც ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სრულად გადაირიცხება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ანგარიშზე;

2. სასწავლო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი შესაძლოა ითვალისწინებდეს როგორც ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის, ასევე არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებს:

ა) საქონელი და მომსახურება - „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით გათვალისწინებული ხარჯები;

ბ) არაფინანსური აქტივები - აღნიშნული კატეგორია გულისხმობს ძირითადი აქტივის შეძენის ხარჯს, რომელთა საექსპლუატაციო ვადა აღემატება ერთ წელს, მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ გამოიყენება მომსახურების პროცესში და ერთეულის ფასი შეადგენს 500 ლარს და მეტს და „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით გათვალისწინებული არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ოპერაციების გაწევას;

გ) ზედნადები ხარჯი - სასწავლო-კვლევითი პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის განკუთვნილი თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო-კვლევითი პროექტის მთლიანი ბიუჯეტის 10 %-ს.

3. სასწავლო-კვლევითი პროექტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი, ავტომანქანების შეძენა;

4. სასწავლო-კვლევითი პროექტის განხორციელებისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზის გამოყენება უნდა განხორციელდეს უსასყიდლოდ.

მუხლი 6. სასწავლო-კვლევითი პროექტების შეფასება

1. საკონკურსოდ წარდგენილი სასწავლო-კვლევითი პროექტის შესაბამისობას სამინისტროს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან, სასწავლო-კვლევითი პროექტის დასაბუთებას, დაგეგმილი კვლევის აღწერას, დაგეგმილი კვლევის გეგმა-გრაფიკს, დეტალურ ხარჯთაღრიცხვას და მოსალოდნელ შედეგებს 100 ქულიანი სისტემით აფასებს ამ პროგრამის

მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად შექმნილი კომისია და შეფასების საფუძველზე, ამ პროგრამის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროგრამის ბიუჯეტის ფარგლებში, გამოავლენს დასაფინანსებელ სასწავლო-კვლევით პროექტებს;

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, კომისიის რეკომენდაციით, ამტკიცებს გამარჯვებულ სასწავლო-კვლევით პროექტებს.

მუხლი 7. კონკურსის პირობათა შესრულების ანგარიშგება, მონიტორინგი, დაფინანსების შეწყვეტა

1. კონკურსის პირობათა შესრულების მონიტორინგს ახორციელებს სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი და ეკონომიკური დეპარტამენტი;

2. კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში სამინისტროს წარუდგინოს სასწავლო-კვლევითი პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშები;

3. ფინანსური მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი, გულისხმობს სასწავლო-კვლევითი პროექტის ფარგლებში სამინისტროს მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე სასწავლო-კვლევითი პროექტით გათვალისწინებულ ბიუჯეტთან;

4. პროგრამული მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს სამინისტროს უმაღლესი განთლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი გულისხმობს სასწავლო-კვლევითი პროექტით დადგენილი ამოცანების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას;

5. სასწავლო-კვლევითი პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებების ან/და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამინისტრო უფლებამოსილია შეწყვიტოს სასწავლო-კვლევითი პროექტის დაფინანსება;

6. სასწავლო-კვლევითი პროექტის დასრულების/შეწყვეტის შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია სასწავლო-კვლევითი პროექტის ფარგლებში მის ანგარიშზე გადარიცხული დაუხარჯავი თანხა დააბრუნოს სამინისტროს ანგარიშზე.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასწავლო-კვლევითი პროექტის ფარგლებში შეძენილი ქონება გადაეცემა შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას;

8. სასწავლო-კვლევითი პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის დახურვის მომენტში წარმოდგენილია საპროექტო წინადადების შესაბამისი პროგრამული და ფინანსური ანგარიშები და პროექტი არ არის შეწყვეტილი.

დანართი

საპროექტო წინადადება

პროექტის დასახელება	
დარგი/სპეციალობა რომელშიც წარმოდგენილია პროექტი	
პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი (გვარი, სახელი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ინფორმაცია)	
პროექტის მონაწილე მაგისტრანტები (გვარი, სახელი, პირადი ნომერი)	
პროექტის ხანგრძლივობა (თვე)	
პროექტის ბიუჯეტი (ლარი)	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის ბაზაზეც განხორციელდება პროექტი	

1. **პროექტის დასაბუთება** (პროექტის აქტუალურობა; მიზნები - არა უმეტეს 300 სიტყვა)

2. **დაგეგმილი კვლევის აღწერა** (კვლევის ობიექტი; კვლევის სტრატეგია; პროექტის განხორციელების ეტაპები და შესასრულებელი ამოცანები - არა უმეტეს 500 სიტყვა)

3. **ამოცანების შესრულების სავარაუდო გეგმა-გრაფიკი** (საჭიროების შემთხვევაში დაამატეთ სტრიქონები)

ამოცანები/თვეები	1	2	3	
ამოცანა #1				
ამოცანა #2				

4. პროექტის ბიუჯეტი

პროექტის ბიუჯეტი		
№	ხარჯვის კატეგორია	თანხა ლარებში
1	მონაწილეთა დაფინანსება	
2	საქონელი და მომსახურება	
3	არაფინანსური აქტივები	
4	ზედნადები ხარჯები	
	სულ	

5. მოსალოდნელი შედეგები (არა უმეტეს 100 სიტყვა)